კლასტერიზაცია, როგორც საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტი

გოჩა ნანიტაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კლასტერული პოლიტიკის პოტენციალი ინოვაციურ ეკონომიკაში საწარმოს კონკურენტუნარიანობის ზრდის ასპექტში. ავტორი ასაბუთებს ეკონომიკურ პოლიტიკაში კლასტერული მიდგომის გამოყენების აუცილებლობას, მოყავს კლასტერის განმარტება და მისი განმასხვავებელი ნიშნების ნუსხა. გარდა ამისა, სტატიაში კლასიფიცირებულია კლასტერები მათი დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე და განსაზღვრულია კლასტერული პოლიტიკის შემდგომი განვითარების მიზნობრივი მიმართულებანი.

საკვანძო სტყვები: კლასტერი, პოლიტიკა, ინოვაცია, საწარმო, პრიორიტეტი, კონკურენტუნარიანობა.

ძირითადი ტექსტი

ინოვაციურ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის მაჩვენებლები და მექანიზმები აქტიურად განიხილება როგორც საქართველოს მთავრობის, ისე ქართველი ბიზნესმენებეისა და მეცნიერების მიერ. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება ნიშნავს ადამიანის ინტელექტის, შემოქმედებითი პოტენციალის ეკონომიკური ზრდის წამყვან ფაქტორად გარდაქმნა. საქართველოს მთავრობის ერთერთ უმთავრეს ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგნეს ქართული წარმოების მაღალი ტექნოლოგიების სფეროში გადაყვანა, რაც მკვეთრად გაზრდის ქართული ეკონომიკის კონკურებტულ პოტენციალს მეცნიერების, განათლებისა და კეთილდღეობის სფეროებში შექმნილი შედარებითი უპირატესობის ზრდის ხარჯზე.

მაღალი შემოსავლების წყარო ხდება არა მხოლოდ მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურით განპირობებული ბუნებრივი რესურების სარგებლობის შესაძლებლობიდან მიღებული რენტა, არამედ ახალი იდეების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების წარმოებაც. ჩვენი აზრით, საქართველოსთვის ეს წარმოადგენს ერთადერთ გზას, რომელზეც იგი შეძლებს, გაუმკლავდეს კონკურენციასაზიური (იაფი სამუშაო ძალის მქონე) და ევროპული (მაღალი ხარისიხს მქონე) წარმოების პროდუქციასთან. ღია ეკონომიკისა და გლობალური კონკურენციის პირობებში შეუძლებელია განვითარებული ქვეყნების ეფექტიანობისა და კეთილდღეობის დონის მიღწევა, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი წინმსწრები განვითარება მსოფლიო მეურნეობის სისტემაში სოციალიზაციის განმსაზღვრელი დარგების სფეროში.

ჩვენი აზრით, ქართული საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმს ეროვნული კლასტერული პოლიტიკის ფორმირება წარმოადგენს, რომლის ძირითდი პრიორიტეტები უნდა გახდეს:

- ტერიტორიულ-საწარმოო კლასტერების ფორმირება (არანაკლებ 3-4-ისა), რომლებიც ორიენტირებული იქნება ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარებაზე და კონცენტრირდება ურბანიზებულ რეგიონებში;
- ტერიტორიულ-საწარმოო კლასტერების ფორმირება სუსტად განვითარებულ რეგიონებში, რომლებიც ორიენტირებული იქნება ნედლეულის ღრმა დანმუშავებასა და ენერგიის წარმოებაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მაღალი დონის სერვისების მწარმოებელი ტურისტულ-რეკრეაციული ზონების ფორმირება და განვითარება უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე რეგიონებში;
- მსხვილი სატრანსპორტო-ლოგისტიკური და საწარმოო კვანძების ფორმირება ეროვნული სატრანსპორტო ქსელის ჩარ-

ჩოებში, რომელსაც ექნება შესაბამისი გამტარებლური სიმძლავრე და უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის ცენტრების მსოფლიო სატრანსპორტო სისტემასთან დაკავშირებას;

კლასტერი წარმოადგენს მოწყობილობების, მაკომპლექტებლების, სპეციალიზებული სერვისების მიმწოდებელთა, საწარმოთა, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებას, რომლებიც დაკავშირებულია ტერიტორიული სიახლოვით და ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულებით საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში. ისინი შეიძლება იქნან განთავსებულნი როგორც ქვეყნის ერთ, ასევე რამოდენიმე მეზობელი რეგიონეის ტერიტორიაზე. არ შეიძლება კლასტერის აღრევა ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებთან, რომლებიც საბჭოთა დროის პროდუქტია. კლასტერის პრინციპული განსხვავება ასეთი კომპლექსებისგან იმაში მდგომარეობს, რომ მისი ინტეგრირების უპირველეს ფაქტორს ახალი ცოდნა ანუ ინოვაცია და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ქსელები წარმოადგენს, მაშინ როდესაც ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ინტეგრატორის როლში პირველ რიგში საწარმოო ინფრასტრუქტურა გვევლინება.

თანამედროვე კლასტერი აწარმოებს მუდმივად ცვლადი პროდუქტების მთელ სპექტრს და იმ შემთხვევებში, როცა დამხმარე წარმოებები გეოგრაფიულად მიახლოებულია ძირითადს, იყენებს ლოკალიზებული სუბკონტროლინგიისა და აუთსორსინგის პრინციპებს; გარდა ამისა, კლასტერის განვითარების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მაღალი კვალიფიკაციის მქონე და შემოქმედებითად მოზროვნე კადრები.

საქართველოს ეკონომიკისათვის კლასტერებისა და კლასტერული პოლიტიკის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ტრადიციულ სანედლეულო განვითარების ვექტორს მიეცეს ახალი, ინოვაციური მიმართულება, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და სატრანსპორტო, ენერგეტიკული, საკომუნიკაციო და ინოვაციური ინფრასტრუქტურების განვითარებას. ყოველივე ამის შედეგად გაიზრდება ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობა.

კლასტერის დამახასიათებელ ნიშნებს განეკუთნება:

- **ძლიერი კონკურენტული პოზიციის არსებობა** საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე და კლასტერის მონაწილეთა მაღალი საექსპორტო პოტენციალი;
- **კონკურენტულ უპირატესობათა ბაზირების ტერიტორიების არსებობა** კლასტერის შემდგომი განვითარებისათვის (მაგალითად: ხელსაყრელი გეოგრაფიული განლაგება; ნედლეულზე წვდომა; სპეციალიზებული საკადრო რესურების, მაკომპლექტებლებისა და დაკავშირებულ სერვისთა მომწოდებლების არსებობა; ინგფრასტრუქტურისათვის საჭირო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მჭიდრო ჩართულობა);
- **კლასტერის გეოგრაფიული კონცენტრაცია** და კლასტერის მონაწილე ორგანიზაციებისა და საწარმოების გაადგილების სიახლოვე, რაც უზრუნველყოფს მათ მჭიდრო ურთიერთქმედებას;
- **მონაწილეთა ფართო სპექტრი,** რომელიც აუცილებელია კლასტერული ურთიერთქმედების პოზიტიური ეფექტის წარმოსაქმნელად;
- **კლასტერის მონაწილეთა შორის ეფექტიანი ურთიერთქმედება,** რაც მოიცავს სუბკონტრაქციის მექანიზმებს; საწარმოთა პარტნიორობას სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; შიდა და გარე ბაზრებზე საქონლისა და მომსახურების ერთობლივი, კოლექტიური წინ წაწევის პრაქტიკას.

კლასტერის მონაწილეთა ძირითად კატეგორიებს განეკუთნება:

- **საბაზისო (ძირითდი) საწარმოები,** - მაპროფილებელ საქმიანობაზე საპეციალიზებული საწარმოები და ორგანიზაციები;
- **სუბკონტრაქტორები** - საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ ძირითადი სპეციალიზებული საწარმოებისთვის პროდუქციისა და მომსახურების მიწოდებას;
- **სარესურსო ინფრასტრუქტურა** - საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ საერთო მოხმარების დარგების (ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ინჟინერია, ბუნების დაცვა, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო) მომსახურებას;

- **ბაზრის ინფრასტრუქტურა** - აუდიტორული, კონსალტინგური, ფინანსური, სადაზღვევო, სალიზინგო, ლოგისტიკური, სავაჭრო ოპერაციები;
- **ცოდნის ინფრასტრუქტურა** - სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- **საინვესტიციო და ინოვაციური ინფრასტრუქტურა** - ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, სამრეწველო პარკები, ვენჩურული ფონდები, ტექნოლოგიათა ტრანსფერის, დიზაინის განვითრების, ენერგომომარაგების, სუბკონტრაქციის ცენტრები;
- **ინფრასტრუქტურის ორგანიზაცია** - ბიზნესის არაკომერციული და საზოგადოებრივი ცენტრები, მეწარმეთა გაერთიანებები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების ცენტრები, ინვესტიციების მოზიდვის სააგენტო, პროდუქციის ექსპორტის მხარდამჭერი სააგენტოები.

დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და მონაწილეების გარდა, გამოყოფენ აგრეთვე კლასტერების დარგობრივი სპეციფიკით განპირობებულ ტიპებს:

1. **დისკრეტული კლასტერი** - ჩართულია საქონელმწარმოებელი საწარმოები, რომლებიც შედგება დისკრეტული[1] კომპონენტებისაგან (მოიცავს მანქანათმშენებლობას, მშენებლობასა და სამშენებლო მასალების წარმოებას, ხორციელება მცირე და საშუალო კომპანიების მიერ);
2. **პროცესული კლასტერი** -წარმოიქმნება ქიმიური, ცელულოზისა და ქაღალდის მწარმოებელი, მეტალურგიული, კვების მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოების მიერ;
3. **ინოვაციური და შემოქმედებითი კლასტერები** - ვითარდება ახალ სექტორებში, ესენია: ინოფრმაციული ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, ახალი მასალები, აგრეთვე შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ სექტორებში;
4. **ტურსიტული კლასტერები** - ტურისტებისათვის, ტუროპერატორებისთვის, სასტუმროებისათვის, საზოგადოებრივი კვების სეტორისათვის, სუვენირების, სატრანსპორტო მომსახურების მწარმოებელი საწარმოები;
5. **სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერები** - კომპანიებისა და ინფრასტრუქტურის კომპლექსი, რომელიც სპეციალიზდება ტვირთისა და მგზავრების სახმელეთო, საჰაერო თუ საწყალოსნო გზით ადგილზე გადაყვანა, განთავსებასა და შენახვაზე, ლოგისტიკური კომპლექსები და სხვა. ასეთი ტიპის კლასტერები ვითარდება სატრანზიტო პოტენციალის მქონე რეგიონებში.

დასახელებულების გარდა, არსებობს კიდევ შერეული ტიპის კლასტერები, რომელთაც გააჩნია რამოდენიმე მახასიათებელი.

როგორც ვხედავთ, კლასტერულ მიდგომას შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს ქართული საწარმოების კონკურენტუნარიანობა კლასტერის შიგნით მიმდინარე კოოპერაციისა და ურთიერთქმედების სინერგიული ეფექტის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით აუცილებლობას წარმოადგენს კლასტერული ინიციატივების გამომუშავების შეთანხმებული სტრატეგია, მსოფლიო წამყვანი კომპანიების მოზიდვა მსგავს პროექტებში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე საწარმოო აქტივების დივერსიფიკაცია ახალი მაღალტექნოლოგიური წარმოებების ფორმირების ხარჯზე.

ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს კლასტერული განვითარების კონცეფცია და ამ კონცეფციის რეგიონებში იმპლემენტაციის მეთოდური რეკომენდაციები, რომელთა ჩარჩოებშიც უნდა მოხდეს კლასტერების შემდგომი ფორმირება და განვითარება შემდეგი სამი მიმართულებით:

1. კლასტერების ინსტიტუციური განვითარებისადმი ხელშეწყობა (განვითარების ორგანიზაციის, განვითარების სტრატეგიის შემუშავება, კლასტერის მონაწილეთა ეგექტიანი ინფორმაციული ურთიერთქმედების უზრუნველყოფა);
2. კლასტერის მონაწილეთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებელი პროექტების რეალიზაცია (მართვის ხარისხის გაზრდა, ინოვაციური აქტიურობის სტიმულირება, მარკეტინგის ხელშეწყობა);

[1] დისკრეტული ელემენტი - რომელიმე ცალკეული ელემენტი, რომელიც ელემენტარულ სიგნალურ ცვლილებებს ახორციელებს.

3. კლასტერების განვითარების ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფა (ინფრასტრუქტურის განვითარება, საგადასახადო ლგოტები, ადმინისტრაციული ბარიერების დაწევა და სხვა).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Enright M J. Why Clusters are theWay to Win the Game? // Word Link, No: 5, July/August, 2012.
2. Humphrey J., Schmitz H. Governance and Upgrading Linking Industrial Cluster and Global Value Chain Research. IDS Working Paper №120, 2015
3. Maskell P., Larenzen M. The Claster as Market Organization. DRUID Working Paper 03-14,2013.
4. Sirilli, G. and Evangelista, R., 1998. "Technological innovation in services and manufacturing: results from Italian surveys", Research Policy, 27.
5. ნ. გრძელიშვილი, 2014. რეგიონული კლასტერები და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი გვ. 413-417.
6. Ketels, Christian, GöranLindqvist and ÖrjanSölvell. "Cluster Initiatives in Developing and Transition Economies." 2015. http://www.cluster-research.org/devtra.htm

Clustering as a Tool to Enhance Enterprise Competitiveness

Gocha Nanitashvili,
The Doctoral student of Georgian Technical University

Summary

The article considers the potential of cluster policy in the aspect of increasing the competitiveness of enterprises in an innovative economy. The necessity of using a cluster approach in economic policy is substantiated, a definition of a cluster and a description of its distinctive features are provided. The classification of clusters according to industry specifications is given. A description is given of the main clusters of the Russian Federation, as well as the main target areas for the further development of cluster policy.

Keywords: cluster, politics, innovation, enterprise, priority, competitiveness.